



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 30 ივნისი

დისციპლინური საქმე №91/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- 2022 წლის 3 ივნისის №91 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 7 ივნისის №329/91-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ გააჭიანურა საქმეების განხილვის ვადა.

1.2. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ №-- საქმეში არ დააკმაყოფილა აცილების შესახებ შუამდგომლობა.

1.3. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას და აცხადებს, რომ საქმეში №-- მოსამართლემ მიიღო სუბიექტური გადაწყვეტილება. ამასთან, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ:

- საქმეში №-- მოსამზადებელი სხდომის მერე არ მიიღო მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რაც იყო საქმეში არსებული დოკუმენტების დამაზუსტებელი მტკიცებულებები.
- საქმეში №-- მოპასუხე მხარეს საპატიო მიზეზის გარეშე დაუკმაყოფილა შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შესახებ, ხოლო, მათი შუამდგომლობა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ არ დააკმაყოფილა. ამასთან, უარი უთხრა მოსარჩელე მხარეს დახმარების შესახებ წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. --- 2020 წლის 25 დეკემბერს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის - --- მიმართ საავტორო უფლებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ნებართვის გარეშე საჯარო შესრულების აკრძალვისა და კომპენსაციის დაკისრების მოთხოვნით. ხოლო, 2021 წლის 24 სექტემბერს მოსარჩელე მხარემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში (საქმე: №--).

2021 წლის 5 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის გზავნილის მხარისათვის გადაცემის დავალების შესახებ. იმავე დღეს სასამართლომ მიიღო განჩინება გზავნილის მოპასუხისთვის საჯარო შეტყობინების გზით გავრცელების შესახებ. 16 თებერვალს -- -- ჩაბარდა სარჩელი თანდართული დოკუმენტებით.

2021 წლის 24 თებერვალს, 10 მარტსა და 22 მარტს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. 2021 წლის 25 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება მოპასუხისთვის შესაგებელზე დამატებითი მტკიცებულებების წარმოსადგენად საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2021 წლის 6 სექტემბერს, 27 სექტემბერს, ასევე, 2022 წლის 26 იანვარს, 16 მარტს, 30 მარტს, 11 აპრილს და 11 მაისს.

2021 წლის 27 სექტემბრის საოქმო განჩინების თანახმად, მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და განუხილველად იქნა დატოვებული -- -- სარჩელი მოპასუხისათვის საჯარო შესრულების აკრძალვასთან მიმართებაში.

2022 წლის 12 იანვარს, 15 მარტს და 10 მაისს მხარეებმა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ განცხადებებით მიმართეს სასამართლოს.

2022 წლის 11 მაისს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2022 წლის 16 მაისს მოსარჩელე მხარემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2.2. -- -- 2020 წლის 9 ივლისს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ საავტორო უფლებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ნებართვის გარეშე საჯარო შესრულების აკრძალვისა და კომპენსაციის დაკისრების მოთხოვნით (საქმე: №--).

2020 წლის 13 ივლისს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

2020 წლის 17 ივლისს მოსარჩელე მხარემ კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში -- -- სასამართლოს განჩინების გაუქმების მოთხოვნით. -- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე მხარის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. საქმე დასაშვებობის ეტაპზე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2021 წლის 22 იანვარს სასამართლომ მიიღო განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის გზავნილის მხარისათვის გადაცემის დავალების შესახებ. იმავე დღეს სასამართლომ მიიღო განჩინება გზავნილის მოპასუხისთვის საჯარო შეტყობინების გზით გავრცელების შესახებ.

2021 წლის 16 თებერვალს, 28 სექტემბერს და 29 დეკემბერს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2021 წლის 1 სექტემბერს, 15 სექტემბერს, 3 ნოემბერს, 24 ნოემბერს, ასევე, 2022 წლის 7 თებერვალს, 21 მარტს, 20 აპრილს, 16 მაისს და 8 ივნისს.

2021 წლის 14 სექტემბერს მოსარჩელე მხარემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 15 სექტემბრის სასამართლოს საოქმო განჩინების თანახმად, მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა განუხილველად იქნა დატოვებული მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მიმართ მის სარგებლობაში არსებულ რესტორანში ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული

მუსიკალური ნაწარმოების -- -- გაფორმებული სალიცენზიო შეთანხმების გარეშე საჯაროდ შესრულების აკრძალვის ნაწილში.

2021 წლის 16 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოპასუხის მხარეზე მესამე პირად - -- -- ჩაბმის შესახებ. 2021 წლის 29 დეკემბერს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში ჩაბმულმა მესამე პირებმა შესაგებელი წარადგინეს სასამართლოში.

2021 წლის 14 სექტემბერს, 2 ნოემბერს, 3 ნოემბერს, 22 ნოემბერს, ასევე, 2022 წლის 2 თებერვალს, 7 თებერვალს, 21 მარტს, 28 მარტს, 19 აპრილს და 20 აპრილს მხარეებმა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ განცხადებები წარადგინეს სასამართლოში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს

კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ მხარეთა მატერიალური და საპროცესო უფლებების თავისუფალი განკარგვის მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. მითითებული კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კი მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმეში №-- მხარემ დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს მტკიცებულებების წარდგენა შეეძლო საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, თუმცა მან მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ, დაგვიანებით, წარადგინა მტკიცებულებები, ამასთან, ვერ მიუთითა საპატიო მიზეზი ახალი მტკიცებულებების სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარდგენასთან დაკავშირებით, სასამართლომ უარი უთხრა მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

ამასთან, საქმეში №-- მოპასუხე მხარემ მთავარ სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შესახებ. 2022 წლის 16 მაისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ განმარტა, რომ მართალია მოპასუხე მხარემ ვერ მიუთითა მტკიცებულების მთავარ სხდომაზე წარდგენის საპატიო მიზეზი, თუმცა, მოსარჩელე მხარე თანახმა იყო, რომ აღნიშნული მტკიცებულება დართოდა საქმეს. ამდენად, მოსამართლემ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა.

ზემოაღნიშნულ საქმეში მოსარჩელე მხარემ დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ, 2022 წლის 21 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ განიხილა მხარის შუამდგომლობა და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ ინფორმაციას, რომლის გამოთხოვასაც მხარე

ითხოვდა, უშუალო კავშირი არ ჰქონდა განსახილველ დავის საგანთან. შესაბამისად, უარი უთხრა მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

ამასთან, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მითითებულ საქმეში მოსამართლემ უარი უთხრა დახმარების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საქმის წარმოება მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, რა დროსაც მოსარჩელე თავად განსაზღვრავს თუ რომელი ფაქტები დაუდოს საფუძველად მის მიერ შეტანილ სარჩელს და რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებს აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, განჩინებების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რაც შეეხება მოსარჩელე მხარის განცხადებას, №-- საქმეში სასამართლოს მიერ მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და კანონის შესაბამისად, შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, კანონის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება. ამასთან, ვინაიდან, აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო საჩივარი არ დაიშვებოდა, მოსამართლემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257¹ მუხლის შესაბამისად, გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, გადაწყვეტილების მოტივები და განმარტება ასახა სასამართლო სხდომის ოქმში.

ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3. პუნქტი), რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. -- -- 2022 წლის 3 ივნისის №91 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3. პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №91/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. და 1.2. პუნქტები).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი